ეროვნული სტრატეგიული ნარატივის ჩამოყალიბება და საერთაშორისო გამოცდილება

GCSD

ეროვნული სტრატეგიული ნარატივის ჩამოყალიბება და საერთაშორისო გამოცდილება

ავტორი: ნათია გვენეტაძე

პროექტი მხარდაჭერილია გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ. კვლევაზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და შინაარსი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიცია და მოსაზრება.

The project is supported by the British Embassy Tbilisi. The content of this document is the sole responsibility of the author and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland.

ავტორის შესახებ

ნათია გვენეტაძე - საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი. მას მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო უსაფრთხოების და სტრატეგიის სპეციალობით, ლონდონის სამეფო კოლეჯიდან (King's College London). ამასთან, იგი ფლობს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების მაგისტრის ხარისხსაც. ამჟამად, იგი არის კონფლიქტების ანალიზისა და მართვის დოქტორანტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასევე, მას დამთავრებული აქვს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სწავლებების სამეფო კოლეჯის სტრატეგიული დონის კურსი და ბალტიის თავდაცვის კოლეჯის უმაღლესი სამეთაურო სასწავლო კურსი. ნათია გვენეტაძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს. ამ პერიოდში, იგი მუშაობდა თავდაცვის პოლიტიკის და დაგეგმვის დეპარტამენტში, ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში. ამჟამად, იგი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი მრჩეველია. ნათია გვენეტაძე, მიწვეული ლექტორის რანგში, ლექციებს კითხულობს საქართველოს უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არა მასთან აფილირებულ რომელიმე ორგანიზაციას ან ინსტიტუტს.

British Embassy Tbilisi

GCSD

სარჩევი

„რბილი ძალის“ გავლენა თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურაზე 5

კომუნიკაცია როგორც „რბილი ძალის“ ელემენტი 6

სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობა 7

სტრატეგიული ნარატივები 10

სტრატეგიული ნარატივის ტიპები და ფაქტორები 11

სტრატეგია და სტრატეგიული ნარატივი 12

სამიზნე აუდიტორიის მნიშვნელობა 13

საქართველოს სტრატეგიული ნარატივები 14

რუსეთის სტრატეგიული ნარატივები 17

რუსული ნარატივის ძირითადი თემები 18

რუსეთის მიერ სხვადასხვა ნარატივის ტიპების გამოყენება 19

სტრატეგიული კომუნიკაციები როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკის ბერკეტი 22

ესტონეთის სტრატეგიული ნარატივები 23

დასკვნა 25

ბიბლიოგრაფია 27

დღევანდელ მსოფლიოში სამხედრო, იგივე „ხისტი“ ძალა ნაკლებად წარმოადგენს უსაფრთხოების გამოწვევების მთავარ წყაროს. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, შეიცვალა უსაფრთხოების არქიტექტურაც და სახელმწიფოების მიდგომები როგორც საფრთხეებთან გამკლავების, ასევე საგარეო ურთიერთობების დამყარების კუთხით. უსაფრთხოების გარემო ბევრად უფრო კომპლექსური, მრავალგანზომილებიანი და მრავალვექტორული გახდა. უამრავი ახალი ფაქტორების გათვალისწინებით, სწორხაზოვანი გადაწყვეტილების მიღება არაეფექტურია. საჭიროა ადაპტირებული მიდგომების განვითარება და ჩამოყალიბება.

სახელმწიფოები ზეგავლენის და დარწმუნების ძირითად საშუალებად „რბილ“ ძალას გამოიყენებენ. შესაბამისად, მათი საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას უმეტესწილად სწორედ „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებს ითვალისწინებენ. დღეს, ეროვნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად „რბილმა ძალამ“ ისეთივე სიძლიერის მნიშვნელობა შეიძინა, როგორც სამხედრო სიძლიერის საშუალებებს აქვთ.

ტერმინი „რბილი ძალა“, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში, ჯოზეფ ნაიმ დაამკვირდა. მისი განმარტებით, „რბილი ძალა“ სახელმწიფოს ეროვნული რესურსი და უნარია, რომელიც მას საშუალებას აძლევს „ხისტი ძალის“ გამოყენების გარეშე, დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე. „ხისტი ძალისგან“ განსხვავებით, რომლის დროსაც ხდება სამხედრო შესაძლებლობების და ეკონომიკური სიძლიერის გამოყენება სახელმწიფოების, ჯგუფების თუ ინდივიდების მოქმედებებზე ზეგავლენის მოსახდენად[1], „რბილი ძალა“ ერთგვარი კულტურული ძალაა, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფოები თანამშრომლობით, დარწმუნებით, მიმზიდველობით და არა იძულებით ახდენენ საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას.[2]

ჯოზეფ ნაიმ დაგვანახა, რომ აშშ-მა ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო სისტემაზე ზეგავლენა არა სამხედრო საშუალებებით და მატერიალური შესაძლებლობებით მოახდინა, არამედ როგორც ის უწოდებს, ამერიკამ ძირითადად „მიმზიდველობითი შესაძლებლობები“ გამოიყენა. ჯოზეფ ნაი ყურადღებას ამახვილებს „რბილი ძალის რესურსებზე“ როგორიცაა ქვეყნის კულტურა, ენა და ღირებულებები. ის ასევე ამტკიცებს, რომ „დღევანდელ გლობალურ ინფორმაციულ საუკუნეში, გამარჯვება დამოკიდებული არის არა იმაზე, თუ ვისი ჯარი გაიმარჯვებს, არამედ ვისი ამბავი მოიგებს.“[3]

1 Joseph S. Nye JR. (2008) Smart Power and the “War on Terror”, Asia-Pacific Review, 15:1, 1-8
2 Nye Jr. Joseph, Reviewed by G. John Ikenberry, “Soft Power: The Means to Success in World Politics”, Foreign Affairs, June 2004
3 Nye, J. S. (2004). Soft power: The means to success in world politics. Cambridge, MA: PublicAffairs

სწორედ „რბილი ძალის“ მნიშვნელოვანი ელემენტია კომუნიკაცია. უინსტონ ჩერჩილის მოსაზრებით, პრინციპულ განსხვავებას მართვასა და ლიდერობაში კომუნიკაცია წარმოადგენს. ეფექტიანი კომუნიკაციისთვის ლიდერებმა დროულად უნდა მიიღონ ზომები თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება და იდეების ჩამოყალიბება, მათი შეფუთვა და შემდგომ საზოგადოებისთვის მიწოდება. ნატო-ს ევროპის გაერთიანებული სარდლობის ყოფილი ხელმძღვანელის და აშშ-ის გადამდგარი ადმირალის ჯეიმს სტავრიდისის მტკიცებით, კომუნიკაციის მიდგომების დროული გათვალისწინებით, ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეუძლიათ პოლიტიკის დაგეგმვის ეფექტიანობის გაზრდა.[4] შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორედ დაგეგმვის ფაზაშივე მოხდეს კომუნიკაციის საკითხების გათვალისწინება და მათი დროულად ასახვა.

სწორი და დროული კომუნიკაცია კარგი მმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილია. დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებასთან გამჭვირვალე კომუნიკაცია აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის სწორი განვითარებისთვის. ქვეყნებში, სადაც არ იქნება გამჭვირვალე კომუნიკაცია უზრუნველყოფილი, შესაძლებელია დემოკრატიული პროცესების რღვევა და არეულობის დაწყება. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ დღეს განსაკუთრებით დიდი როლი აქვს კომუნიკაციას, ვიდრე ოდესმე ჰქონია. ჩვენ ყველანი ვიმყოფებით საინფორმაციო ერაში და კომუნიკაციების მეშვეობით შეგვიძლია გავლენა ვიქონიოთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი და გამჭვირვალე კომუნიკაციის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან. ხელისუფლების პირდაპირი პასუხისმგებლობაა ამომრჩევლებთან მუდმივი კომუნიკაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციაში არ იგულისხმება მხოლოდ სიტყვიერი კომუნიკაცია და გზავნილები, რომლებსაც სახელმწიფოს მხრიდან ვისმენთ, არამედ ასევე ქმედებები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს. დღეს ასეთ კომუნიკაციას უწოდებენ სტრატეგიულ კომუნიკაციას. შესაბამისად, სტრატეგიული კომუნიკაციები გახდა თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვანი კომპონენტი. საჯარო სტრუქტურებში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც ევალებათ ერთიანი, კოორდინირებული სახელმწიფო ნარატივის ჩამოყალიბება და გავრცელება.

4 James Stavridis, Strategic Communication and National Security, Joint Force Quarterly, Issue 46, 3d quarter 2007

როგორც ნატო-ს ევროპის გაერთიანებული სარდლობის ყოფილი ხელმძღვანელი და აშშ-ის გადამდგარი ადმირალი, ჯეიმს სტავრიდისი განმარტავს, სტრატეგიული კომუნიკაციების მიზანია აუდიტორიას სწორად და დროულად მიაწოდოს ინფორმაცია, რათა გაჟღერებული ინფორმაციით საკუთარი მიზნების მხარდაჭერა მოიპოვოს. ინფორმაციის სანდოობის და დროულად მიწოდების გარდა, მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს აუდიტორიის შერჩევა.[5] ინფორმირება ზეგავლენის მოხდენის გარეშე ფაქტობრივად არ ხდება. ყველანაირ ინფორმაციას აქვს მიზანი და წარმოადგენს ავტორის კონკრეტულ დამოკიდებულებას და შეხედულებებს. ასევე, ინფორმაცია გამიზნულია და ღირებულია როდესაც ის განსზღვრულია და მიმართულია კონკრეტული აუდიტორიისკენ.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის სტრატეგიული კომუნიკაციების ხელმძღვანელის, მარკ ლეითის თქმით, სტრატეგიული კომუნიკაციები არ უნდა გახდეს კიდევ ერთი ახალი ტერმინი მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში, არამედ უნდა მოხდეს მისი მკაფიო გააზრება და კომუნიკაციის საჭიროების გათვალისწინება ჯერ კიდევ დაგეგმვის ფაზაში, გადაწყვეტილების მიღების დროს.[6] ასევე, არ უნდა ხდებოდეს სტრატეგიული კომუნიკაციების გამოყენება მხოლოდ კრიზისულ სიტუაციაში დამხარე მექანიზმად, არამედ მთავრობამ უნდა გამოიყენოს იგი როგორც ძირითადი ძალისხმევა ელაპარაკოს და უსმინოს ხალხს.[7]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ დღეს ინფორმაციულ ერაში ვიმყოფებით და ინფორმაცია მნიშვნელოვანი ძალის ელემენტს წარმოადგენს. ჯოზეფ ნაის თქმით, ინფორმაცია სულ უფრო მატულობს და საშუალება იმისა, რომ ახალ ინფორმაციაზე პირველმა იმოქმედო, უფრო იშვიათი ხდება.[8] ინფორმაციის ფლობა წარმოადგენს ძალას, განსაკუთრებით ვიდრე მისი გავრცელება მოხდება. შესაბამისად, ახალ ინფორმაციაზე დროული რეაგირების შესაძლებლობა კრიტიკული რესურსი გახდა. ინფორმაციაზე დაფუძნებულ ეკონომიკის ზრდასთან ერთად, გაიზარდა ორგანიზაციული უნარების და მოქნილი მოქმედების და გადაწყვეტილების მიღების მნიშნელობამაც.[9]

ეროვნული პოლიტიკის სასარგებლოდ ინფორმაციის მიწოდება, გავლენის მოხდენა და დარწმუნება მოითხოვს როგორც პოლიტიკის მიზნების სიცხადეს, ასევე იმის გარკვევას, თუ როგორ უწყობს ხელს ამ მიზნების მიღწევას საზოგადოების დამოკიდებულებები, ქცევები და აღქმები.[10]

5 James Stavridis, Strategic Communication and National Security, Joint Force Quarterly, Issue 46, 3d quarter 2007
6 Mark Laity, NATO and the Power of Narrative, Information at War: From China's Three Warfares to NATO's Narratives, 2015.
7 Christopher Paul, Getting Better at Strategic Communication, RAND Corporation, 2011
8 Joseph S. Nye, Jr, Soft Power, Foreign Policy, No. 80, Twentieth Anniversary (Autumn, 1990), pp. 153-171
9 Ibid.
10 Christopher Paul, Getting Better at Strategic Communication, RAND Corporation, 2011

ეფექტიანი სტრატეგიული კომუნიკაციები მოითხოვს პოლიტიკის მიზნებიდან მომდინარე მკაფიო და თანმიმდევრულ მესიჯებს.[11] კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის მიზნებთან ერთად მარტივი და აღქმადი იყოს ის სასურველი შედეგი, რაც კომუნიკაციის შედეგად უნდა მივიღოთ. არამკაფიო და ზოგადი მიზნების პროგრესის დაკვირვება და გაზომვა, მაგალითად როგორიც შეიძლება იყოს „ომის მოგება", რთული და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც არის, არასაკმარისი ინდიკატორების არსებობის გამო. ასევე, რთულია დამხამრე მიზნების (ქვე-მიზნების) ჩამოყალიბება და შემდგომ მათი საშუალებით ზეგავლენის კამპანიების გატარება.

ხშირ შემთხვევაში, ჩვენი მოქმედებები უფრო ხმამაღლა მეტყველებს, ვიდრე ჩვენი სიტყვები. შესაბამისად, წარმატების მისაღწევად საჭიროა, რომ სტრატეგიული კომუნიკაციები შინაარსთან ერთად კონკრეტულ მოქმედებებს გამოხატავდეს და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სიტყვებით.

თეთრი სახლის 2010 წლის სტრატეგიული კომუნიკაციების ეროვნული დოკუმენტის თანახმად, აშშ-ის მთავრობის მიერ განხრციელებული ყოველი ქმედება წარმოადგენს კონკრეტულ გზავნილს: „ჩვენი ქმედებები იმდენად (თუ უფრო მეტად არა) მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჩვენი სიტყვები, განსაკუთრებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადასროლილი სამხედრო ძალებისათვის. ქვეყნის სამხედრო ძალების თითოეული ქმედება, განცხადება, მესიჯი, და გადაადგილება გავლენას ახდენს იმ მოსახლეობის წარმოდგენებზე და შეხედულებებზე, რომელიც აკვირდება ამ მოვლენებს როგორც ოპერაციების არელიდან, ასევე უფრო ფართო მსოფლიოდან.[12]

პოლ კრისტოფერის გვთავაზობს სტრატეგიული კომუნიკაციების შემდეგ დეფინიციას: „ეროვნული მიზნების მხარდასაჭერად კონკრეტული აუდიტორიისათვის ინფორმაციის მიწოდების, მასზე გავლენის მოხდენის და მისი დარწმუნების მიზნით კოორდინირებული ქმედებები, მესიჯები, გამოსახულებები და კომუნიკაციის სხვა დამატებითი ფორმები."[13] ასევე, მის ნაშრომში ვხვდებით სტრატეგიული კომუნიკაციების ძირითად კონცეფციებს: „კოორდინირებული ქმედებები, აუდიტორიის ანალიზი, მიზნების დასახვა, კომუნიკაციის სტრატეგია, ნარატივების ფორმულირება და ლიდერობა".[14]

სტრატეგიული კომუნიკაცია მიმართული უნდა იყოს ეროვნული ინეტერესების მისაღწევად და ეროვნული პოლიტიკის და მიზნების მხარდასაჭერად. ამიტომაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ მიმართულებაზე. სტრატეგიული კომუნიკაცია უნდა იყოს გათვალისწინებული არა მხოლოდ ქვეყნის ეროვნული სტარტეგიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად განხორციელების ფაზაში, არამედ

11 Goldman, Emily, "Strategic Communication: A Tool for Asymmetric Warfare," Small Wars Journal, October 6, 2007, p. 6

12 The White House, National Framework for Strategic Communication, Washington, D.C., March 2010, p. 3.

13 Paul, Christopher, Strategic Communication: Origins, Concepts, and Current Debates, Santa Barbara, Calif.: Praeger, 2011, p. 3.

14 Christopher Paul's Strategic Communication: Origins, Concepts and Current Debates (Santa Barbara, CA; Denver, CO, Oxford, England: Praeger, 2011) or Anthony Dudo's and LeeAnn Kahlor's (Ed.) Strategic Communication: New Agendas in Communication (New York: Routledge, 2017)

სტრატეგიის შემუშავების დროსაც. დემოკრატიულ ქვეყანაში გამჭვირვალე კომუნიკაცია აუცილებელია საზოგადოებასთან მტკიცე და ეფექტიანი ურთიერთობისთვის. კომუნიკაციაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ნდობა, თუ რამდენად მართალია/სანდოა ინფორმაცია. განსაკუთრებით არსებული კომპლექსური უსაფრთხოების გარემოს და მრავალი აქტორის არსებობის გათვალისწინებით, რთულია სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მჭიდრო, სანდო და მტკიცე კომუნიკაციის შენარჩუნება, აღნიშნულ ძალას მთავრობები უფრო ნაკლებად ფლობენ დღეს ვიდრე ოდესმე. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს თავისი მიზნების და ამოცანების ასევე მიღწევებისა და წარუმატებელი შედეგების სწორი კომუნიკაცია საკუთარ ამომრჩეველთან და მაქსიმალურად შეინარჩუნოს ნდობა საზოგადოების მხრიდან.

სტრატეგიული ნარატივების მეშვეობით პოლიტიკური აქტორები აყალიბებენ საერთაშორისო პოლიტიკის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან ხედვას, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს სახელმწიფო და საერთაშორისო აქტორების ქცევას.[15] სტრატეგიული ნარატივების მეშვეობით ხდება ენის და იდეების ფორმირება, და შესაბამისად, ზეგავლენის მოხდენა. ძირითადად სტრატეგიული ნარატივები გამოიყენება ინტერესების, იდენტობის და საგარეო ურთიერთიბების ჩამოყალიბების და მართვის მიზნით.

ნარატივი შედგება სხვადასხვა ელემენტებისგან, ის მოიცავს აქტორებს, მოვლენებს, დროს და სივრცეს. ეფექტურ ნარატივს შეუძლია დააკავშიროს ყველა ეს ელემენტი ერთმანეთს და გადმოსცეს როგორც ერთი ამბავი.[16] სტრატეგიული ნარატივის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, თუ ვინ არის ნარატივის ჩამოყალიბების და შემუშავების პროცესში ჩართული და როგორია აღნიშნული აქტორების პოლიტიკური ლეგიტიმაცია. რადგან, სტრატეგიული ნარატივების ავტორები პოლიტიკური აქტორები არიან, რომლებსაც კონკრეტული მიზანი ამოძრავებთ: აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენა. შესაბამისად, სტრატეგიული ნარატივები წარმოადგენს იმ ერთ-ერთ გზას/საშუალებას, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკური მითების განხორციელება ხდება.[17]

15 Alister Miskimmon, Ben O'Loughlin, and Laura Roselle, Strategic Narratives: Communication Power and the New World Order (New York/London: Routledge 2013).

16 Olivier Schmitt (2018) When are strategic narratives effective? The shaping of political discourse through the interaction between political myths and strategic narratives, Contemporary Security Policy, 39:4, 487-511

17 Ibid.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის ნარატივი: სისტემური ნარატივი - საერთაშორისო სისტემის ბუნება და მომავალი; იდენტობის ნარატივი - აქტორების იდენტობა; და საკითხის ნარატივი - კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, კონტექსტუალური გამოწვევები.[18] შესაბამისად, სასურველი შედეგის მისაღწევად, მნიშვნელოვანია სტრატეგიული ნარატივის ჩამოყალიბების დროს ინფორმაციის სწორად დაჯგუფება და შესაბამისი აუდიტორიისთვის მიწოდება.

სტრატეგიული ნარატივის ცნება ძირითადად ფოკუსირებულია სახელმწიფოზე და განიხილავს, თუ როგორ ხდება პოლიტიკოსების მიერ შიდა და საერთაშორისო აუდიტორიაზე გავლენის მოხდენა კონკრეტული მიზნების მისაღწევად. თუმცა, სტრატეგიული ნარატივების ჩამოყალიბება არ უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფო აქტორების მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული ნარატივები ასევე გამოიყენება არასახელმწიფო აქტორებისა და ინსტიტუტების მიერ ერთმანეთზე გავლენის მოსახდენად სხვადასხვა მედია საშუალებების გამოყენებით. შესაბამისად, დღეს უკვე მნიშვნელოვანია არა მხლოდ სახელმწიფო აქტორების გათვალისწინება სტრატეგიული ნარატივების ჩამოყალიბებისას, არამედ ასევე საყურადღებოა არასახელმწიფო აქტორების და ინსტიტუტების როლი და მათი ურთიერთგავლენა. თანამედროვე გარემოში, მნიშვნელოვანია ასევე მსხვილი კორპორაციების („Google“ ან „Facebook“), სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების (ნატო), საერთაშორისო უფლებადამცველი ჯგუფების (Amnesty International) და არასახელმწიფო აქტორების (თალიბანი) გათვალისწინება. შესაბამისად, დღევანდელი მსოფლიო წარმოადგენს მრავალრიცხოვანი სტრატეტეგიული ნარატივის თანაარსებობის, გაერთიანებისა და დაპირისპირების სიცრვეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყველა აქტორის გათვალისწინება სტრატეგიული ნარატივის ჩამოყალიბების დროს.

მარკ ლეითის თქმით, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საკუთარი ნარატივის ქონა ნებიმიერი ქვეყნისთვის სტრატეგიულ აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნარატივი უნდა იყოს რეზონანსული, ემოციური და ეხმიანებოდეს ძირითად ღირებულებებს. ამასთანავე, მისი გამოყენება უნდა ხდებოდეს ოპერატიულ დონეზეც. წარმატებული და ეფექტიანი სტრატაეგიული ნარატივი არის როგორც ინსპირაციული, ასევე პრაქტიკული ხასიათის.[19]

18 Ibid.

19 Mark Laity, NATO and the Power of Narrative, Information at War: From China's Three Warfares to NATO's Narratives, 2015.

ბევრი თვლის, რომ ეროვნული სტრატეგიის შემუშავება არ არის კავშირში სტრატეგიული ნარატივების შემუშავებასთან. თუმცა, არასწორია, როცა ცდილობენ განასხვავონ სტრატეგია და სტრატეგიული ნარატივი ერთმანეთისგან. „სტრატეგიული ნარატივი წარმოადგენს სტრატეგიას, და გამოხატულია ნარატივის ფორმაში".[20] სტრატეგიული ნარატივი აკავშირებს სტრატეგიასა და ნარატივს, შესაბამისად მათ ურთიერთთავსებადს და ინტეგრირებულს ხდის. ამიტომაც, წარმოუდგენელია მათი ცალკე გამიჯნვა. ეროვნული სტრატეგიის შემუშავების დროს, სახელმწიფოს შესაბამისი უწყებები უნდა ითვალისწინებდნენ როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ აუდიტორიას, ასევე საერთაშორისო აქტორებს და აყალიბებდნენ თავიანთ სტრატეგიულ ნარატივებს შესაბამისად.

სრტრატეგიული ნარატივის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ძირითადი სამიზნე აუდიტორიის ქცევის განსაზღვრას და მათი მხარდაჭერის მოპოვებას წარმოადგენს. ცნობილი ავტორი, ლოურენს ფრიდმანი ასევე ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ სტრატეგიული ნარატივის მთავარი ამოცანა არის დაარწმუნო სხვები მოიქცნენ ისე, რომ სასურველ მიზანს მიაღწიო.[21]

მარკ ლეითის აზრით, სამწუხაროდ, ხშირად არასწორად ხდება ტერმინის „ნარატივი" გამოყენება. ბევრჯერ ხდება, რომ სხვადასხვა სახის დოკუმენტს, არგუმენტსა თუ ანგარიშს შეცდომით მოიხსენიებენ როგორც ნარატივს. მაშ ასე, სინამდვილეში რა არის ნარატივი? როგორც მარკ ლეითი ამბობს, ნარატივი ნაწილობრივ არის ამბავი, და შესაბამისად, სტრუქტურა ამბავის შესაბამისი უნდა ჰქონდეს. მისი თქმით, ამბავს ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. მისი საშუალებით ჩვენი წინაპრები მომდევნო თაობებს გადასცემდნენ სხვადასხვა მოვლენებს, რითაც ქმნიდნენ ისტორიას და გავლენას ახდენდნენ საერთო იდენტობის ჩამოყალიბებაზე. დღეს, ამბების გადაცემა თანამედროვე საშუალებების გამოყენებით ხდება და მისი მნიშვნელობა და ზემოქმედების ხარისხი არ შეცვლილა.[22]

თუმცა, ნარატივი ამბავზე მეტია, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ნარატივში გამოხატულია რამდენიმე ამბავი ერთად. ასევე, ნარატივის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თვისება არის, ის რომ იგი ასახავს მოვლენებს იდეოლოგიასთან, თეორიასთან და რწმენასთან კავშირში და ამასთანავე, მიუთითებს სამომავლო მოქმედებების მიმართულებებს. შესაბამისად, სტრატეგიული ნარატივი არა მხოლოდ გვიყვება ამბავს, არამედ გავლენას ახდენს ჩვენს მომავალ ქმედებებზე და არჩევანზე.

20 Emile Simpson (2012), War from the Ground Up, (Hurst & Co.) , page 184.
21 Freedman, 'The Possibilities and Limits of Strategic Narratives', p. 24.
22 Mark Laity, NATO and the Power of Narrative, Information at War: From China's Three Warfares to NATO's Narratives, 2015.

სტრატეგიული ნარატივი წარმატებულია, როცა კარგად გესმის შენი სამიზნე აუდიტორიის. სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, აუცილებელია ადგილობრივი კულტურის და ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა. ეფექტიანი ნარატივები მიმართული უნდა იყოს სამიზნე აუდიტორიის ღირებულებებზე, ინტერესებზე და განწყობებზე. რადგან სწორად ასეთი მიდგომების მეშვეობით შესაძლებელია ზეგავლენა იქონიო და შენთვის სასურველ მიზანს მიაღწიო.

სამიზნე აუდიტორიის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი ბრიტანელი გენერლის, ენდრიუ სტიუარტის მაგალითი. ერაყში საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელობის დროს, გენერალი დილემის წინაშე დადგა, მას მოუწია გადაწყვეტილების მიღება თუ რომელი სამიზნე აუდიტორია იქნებოდა მისი მისიის შესრულებისთვის მეტად მნიშვნელოვანი. მისი თქმით, დიდი ბრიტანეთის გაზეთები ამბებს პოლიტიკურ ჭრილში გადმოსცემდნენ, ხოლო მისთვის მნიშვნელოვანი იყო ხალხთან კავშირი და იმ ყოველდღიური რეალური ამბების გადაცემა, რაც ადგილზე ხდებოდა. შესაბამისად, მან გადაწყვიტა, რომ მისი სამიზნე აუდიტორია იქნებოდა ერაყელი ხალხი და ადგილობრივი პრესის საშუალებით გაეშუქებინათ რეალურად მიმდინარე მოვლენები. როგორც გენერალი სტიუარტი განმარტავს, მისი გადაწყვეტილების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სამშვიდობო ოპერაციების დროს კულტურული ემპათიის გამოხატვა იყო.[23]

მაშ ასე, სტრატეგიული ნარატივების მთავარი აზრი სწორედ ინტერესების და იდენტობის ჩამოყალიბებაა, ასევე იმის გააზრება თუ როგორია საგარეო პოლიტიკის კურსი და მისი ძირითადი აქტორები.

კარგი კომუნიკაცია სახელმწიფოს ფუნქციაა, ის ასევე მეტყველებს სწორი მმართველობის არსებობაზე: დემოკრატიულ სახელმწიფოში გამჭვირვალე კომუნიკაცია აუცილებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების და ამომრჩეველთა შორის. შესაბამისად, კომუნიკაციას ასევე გააჩნია კონსტიტუციური მნიშვნელობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც კომუნიკაცია არ არის გულწრფელი, ადექვატური და სრული, შეიძლება გამოიწვიოს დემოკრატიული პროცესების რღვევა.[24]

სტრატეგიული კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ასპექტია პოლიტიკის მკაფიო ფორმულირება და მისი გატარებისთვის ქმედითი მექანიზმების შექმნა. ეს კი, თავის მხრივ, საჭიროებს გადაწყვეტილებების მიმღები და უწყებათაშორის კოორდინაციის ქმედითი ინსტიტუციური მექანიზმების არსებობას ეროვნულ და უწყებრივ დონეზე.

23 Greg Mills, Why States Recover: Changing Walking Societies into Winning Nations, from Afghanistan to Zimbabwe, Hurst, 2014.

24 Alister Miskimmon, Ben O'Loughlin, and Laura Roselle, Strategic Narratives: Communication Power and the New World Order (New York/London: Routledge 2013).

საქართველოს ეროვნული სტრატეგიული ნარატივის ჩამოყალიბება აუცილებელი წინაპირობაა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში გაწერილ ეროვნული ინტერესების მისაღწევად. სახელმწიფოსთვის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებას კარგად ესმოდეს და იაზრებდეს მის მიერ გაჟღერებულ გზავნილებს. შესაბამისად, აუცილებელია სტრატეგიული კომუნიკაციების მეტად გამოყენება ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული სტრატეგია არის გასაგები და დროული კომუნიკაცია: მტკიცე და გასაგები ნარატივის გარეშე შეუძლებელი იქნება სახელმწიფომ აუხსნას საზოგადოებას თავისი პოზიციის შესახებ.

სტარტეგიული კომუნიკაცია და ეროვნული ნარატივის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა საქართველოში მოწყვლადი უსაფრთხოების გარემოა, ოკუპირებულია ქვეყნის ტერიტორიების ნაწილი და რუსეთის მხრიდან საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს აგრესიული პროპაგანდა. შესაბამისად, სახელმწიფომ დროულად და გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს საზოგადოებას ის მნიშვნელოვანი გზავნილები, რაც განსაზღვრავს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რა საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა და თუ რას ეფუძნება მის მიერ იდენტიფიცირებული მიმართულებები. ამისათვის საჭიროა ერთიანი სახელმწიფო მიდგომა და შესაბამისი კოორდინაცია.

შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ შეიმუშავა კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანას სწრაფად და ეფექტურად მიაღწიოს დასახულ ეროვნულ მიზნებს და განავითაროს სახელმწიფო. ამისათვის, ქვეყანას აქვს შემუშავებული შემდეგი საკომუნიკაციო სტრატეგიები: ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის და თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020.

საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მთავრობის სტრატეგიის მიხედვით, კომუნიკაციის ძირითადი გზავნილები შემუშავებულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საზოგადოების აუდიტრორიისთვის.

სტრატეგიის მიხედვით, ეროვნულ დონეზე საქართველოს სტრატეგიული კომუნიკაციის ძირითადი გზავნილების მიზანია, ქართული საზოგადოების ინფორმირებულობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კუთხით. დაანახოს საზოგადოებას, განხორციელებული რეფორმებით მიღებული სიკეთეები, რაც აძლიერებს საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და თავდაცვისუნარიანობას, ასევე ეხმარება ქვეყანას ეროვნული და კულტურული ღირებულების დაცვაში და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში.

საერთაშორისო დონეზე, ქვეყნის სტრატეგიული კომუნიკაციის ძირითადი გზავნილები ფოკუსირებულია საქართველოს გეოპოლიტიკურად სტრატეგიული მდებაროების მნიშვნელობაზე. ნარატივებში ხაზი გასმულია საქართველოს მნიშვნელოვან როლზე ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში და წარმოჩენილია ქვეყანა, როგორც წარმატებული მაგალითი დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით.[25]

საქართველოს მთავრობა სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულების განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და შესაბამისად კონკრეტულ წარმატებულ ნაბიჯებს დგამს ამ კუთხით. ეროვნულ დონეზე შეიქმნა და დაკომპლექტდა სტრატეგიული კომუნიკაციის სტრუქტურული ერთეულები საჯარო უწყებებში, რომელთა ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირება საქართველოს პოლიტიკის განხორციელებაზე, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და ანალიზი, ასევე სტრატეგიული გზავნილების შემუშავება და მათი გავრცელება.

საქართველომ დამოუკიდებლობის მიღებისთანავე აირჩია ქვეყნის განვითარების დასავლური ვექტორი. შესაბამისად, ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციაა, რომელიც ასევე ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველოს სწრაფვა ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ ნაწილობრივ განპირობებულია მისი ევროპული სამყაროსადმი და საუკუნეების განმავლობაში დიდი ევროპული ოჯახისადმი კუთვნილებით. ქართული ნარატივის თანახმად, ქართველები ოდითგანვე ამყარებდნენ მჭიდრო კავშირებს ევროპულ სახელმწიფოებთან როგორც კულტურულ, ასევე სამხედრო-პოლიტიკურ, რელიგიურ და ეკონომიკურ ჭრილში. საკითხთა ამ ერთობამ ჩამოაყალიბა ქართველთა ეროვნული ფასეულობანი და პოლიტიკური ინტერესები. შესაბამისად, ევროპულ კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის განვითარების ერთ-ერთი კომპონენტი იყო.[26]

ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობაზე საქართველოს მიერ შემუშავებული ნარატივების საზოგადოების ინფორმირების კუთხით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საინფორმაციო ცენტრი ევროკავშირისა და ნატოს შესახებ, ინტენსიურად ატარებს ღონისძიებებს როგორც დედაქალაქში ისე რეგიონებში. ქვეყნის არსებული საკომუნიკაციო პოლიტიკის, ასევე ევროპული კულტურისა და ფასეულობების მიმართ ისტორიული სიახლოვის შედეგად, ევროატლანტიკური კურსის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა საქართველოში საკმაოდ მაღალია. 2020 წლის იანვარში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის „NDI“ კვლევების თანახმად, მოსახლეობის 82% უჭერს მხარს ევროკავშირში გაწევრიანებას, ხოლო გამოკითხულთა 74% კი ნატოში ინტეგრაციას.[27]

25 ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის

26 საქართველო და ევროპა, ჟურნალი „ისტორიანი“ #1.

27 https://1tv.ge/news/endiais-kvlevis-tanakhmad-saqartvelos-evrokavshirshi-gawevrianebas-gamokitkhulta-82-procenti-uchers-mkhars-kholo-nato-shi-gawevrianebas-74-procenti/

თუმცა, დღეს საქართველოში არსებული მოწყვლადი უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე და რუსეთის მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის პირობებში, მთავრობის მხრიდან საჭირიოა მუდმივი კომუნიკაცია საზოგადოებასთან როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. რუსეთი აქტიურად ცდილობს მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პროცესების მიმართ ნეგატიური ზეგავლენის მოხდენას.

ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს პროპაგანდასთან ბრძოლის კონკრეტული გზავნილები და შესაბამის სამიზნე ჯგუფებამდე სწორად და დროულად დაიყვანოს ისინი, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს და დაუპირისპირდეს რუსულ პროპაგანდას. გარდა ამისა, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს საზოგადოებაში სწორი აღქმების და განწყობების ჩამოყალიბებაზე, რისთვისაც ყურადღება უნდა გაამახვილოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციით მიღებულ სიკეთეებზე. ვინაიდან როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტრატეგიული ნარატივი თვისებრივად გულისხმობს მოვლენების დაკავშირებას იდენტობასთან, კულტურასთან, ისტორიასთან და რწმენასთან და მიმართულია მომავალი შედეგების მიღებაზე, სწორედ ამიტომ, საჭიროა სახელმწიფომ ფოკუსირებულად სამიზნე ჯგუფებს, მარტივი ენით და ადამიანების ფასეულობების გათვალისწინებით, აუხსნას თუ რატომ ეკუთვნის საქართველო ევროპულ ოჯახს და რა ღირებულებებს მოიცავს აღნიშნული ცნება. ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნარატივების საზოგადოებამდე ეფექტიანი მიწოდება, რაც თავის მხრივ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. საჭიროა როგორც ცალკეული მესიჯების შერჩევა კონკრეტულ აუდიტორიასთან მიმართებაში, ასევე შესაბამისი საკომუნიკაციო არხების შერჩევაც. გასათვალისწინებელია, როგორც სპეციფიკური აუდიტრორიების ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ასპექტები, ასევე განათლების დონე, ასაკობრიბი ჯგუფები, ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა და მათზე არსებული დეზინფორმაციისა და პროაგანდის შესაძლო გავლენები. შესაბამისად, სახელმწიფოს სჭირდება ერთიანი და კოორდინირებული მიდგომების მეტად განვითარება და ამ მიმართულებით შესაბამისი ადამიანური რესურსის მაქსიმალური გამოყენება.

რუსეთი ეროვნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად დიდი ხანია იყენებს „რბილი ძალის“ ელემენტებს, შესაბამისად, სტრატეგიული ნარატივების ჩამოყალიბების და მათი ეფექტურად გამოყენების კუთხით საინტერესოა რუსეთის მაგალითის განხილვა. კრემლი რეჟიმის მხარდამჭერი ნარატივების შექმნისა და გავრცელებისთვის იყენებს ისტორიული ფაქტების დამახინჯებით, დეზინფორმაციით, ღირებულებით სისტემაზე მანიპულაციით.

ნარატივების მიმოხილვის დროს, როგორც უკვე ვნახეთ, სტრატეგიული ნარატივი არა მხოლოდ მიმდინარე მოვლენებს ეხება, არამედ ისტორიას, აწმყოს და რაც მთავარია მომავალს. რუსეთი სწორედ ამ კუთხით ცდილობს ეროვნული ნარატივების შექმნას და მათ წარმატებით გამოყენებას როგორც თავისი ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. რუსული ნარატივები არ შემოიფარგლება მხოლოდ რუსეთზე ფოკუსირებით, არამედ ის ცდილობს დასავლური ნარატივების დამახინჯებულად წარმოჩენას მათი გაყალბების და გაზვიადების საშუალებით. რუსეთი წარმოაჩენს ამერიკის შიდა საკითხებს ისეთი ფორმით, რომელიც ძირს უთხრის მის სოციალურ ერთობას ქვეყნის შიგნით და მის იმიჯს საერთაშორისო სისტემაში. რუსული ნარატივის მიხედვით, თავად რუსეთი არის დასავლეთის მსხვერპლი, შესაბამისად მისი უკრაინაში შეჭრა, რუსეთის მხრიდან წარმოდგენილი იყო როგორც გმირული საქციელი დაიცვას საკუთარი თავი.

რუსეთის დეზინფორმაცია მიმართულია, რომ გამოიწვიოს სოციალური ერთობის და ნდობის რღვევა. რუსული ნარატივის ძირითადი თემატიკა მოიცავს მიგრაციის შედეგად გაზვიადებულ საფრთხეებს, იარაღის გამოყენებას, ისლამის და ლგბტ უფლებების საკითხებს. ზოგადად, იარაღით ძალადობა რუსეთის ტროლებისა და ბოტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამიზნეს წარმოადგენს, ისევე როგორც რასისტული დაძაბულობები პოლიციის მიერ აფრო-ამერიკელი საზოგადოების წინააღმდეგ ძალადობის გადამეტების გამოყენების გამო. რუსეთი დეზინფორმაციის გზით, მიზანმიმართულად ცდილობს ნებისმიერი არსებული დაძაბულობის და დაპირისპირების გაღრმავებას, ასევე დასავლეთის ღირებულებების დაკნინებას, რათა მარტივად შეძლოს საზოგადოების აზრის მანიპულირება მისი ინტერესების შესაბამისად.

რუსეთმა 2013 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ღიად დააფიქსირა, რომ მოსკოვს უნდა შეემუშავებინა ისეთი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ მის მსოფლიო იმიჯზე. ასევე დოკუმენტი ითვალისწინებდა ისეთი საშუალებების განვითარებას, რაც დაეხმარებოდა მას საზღვარგარეთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და მისი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ საინფორმაციო საფრთხეებზე გამკლავების საშუალებას მისცემდა.[28]

28 Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. (2013). Kontseptsiya vneshney politiki Rossiyskoy Federatsii. Moscow: Russian MFA.

რუსული ნარატივების სიღრმისეულად შესაწავლის მიზნით, საინტერესოა რუსეთის მაგალითი განვიხილოთ სხვადასხვა ტიპის ნარატივების მიხედვით.

სისტემური ნარატივების თვალსაზრისით, რუსეთი ავითარებს შემდეგ იდეებს: პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნარატივი არის ის, რომ აშშ-ის სურს ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს უნიპოლარული დომინანტობა და შესაბამისად, აქტიურად ცდილობს ხელი შეუშალოს მრავალპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბებას. აღნიშნული აზრს ხშირად აჟღეერებენ რუსეთის ოფიციალური პირები თავიანთ გამოსვლებში. ერთ-ერთ ცნობილ გამოსვლაში, 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელიც ითვლება გარდამტეხ მომენტად რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში, პუტინმა განაცხადა, რომ აშშ-ის პოლიტიკა სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, იქნება ეს ეკონომიკური თუ კულტურული, ყოველმხრივ გასცდა საზღვრებს.[29]

საერთაშორისო სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით, აღნიშნული დაპირისპირება ერთის მხრივ უნიპოლარულ, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთისთვის სასურველ, მრავალპოლარულ მსოფლიოს შორის, ძირითადი რუსული ნარატივი გახდა. ამის ერთ-ერთ მაგალითს ასევე წარმოადგენს რუსული მედია საშუალების „Sputnik News“ მიერ გამოქვეყნებული სტატია, რომლის თანახმად რუსეთის მცდელობა დაიცვას მისი ეროვნული ინტერესები და ხელი შეუწყოს მულტიპოლარული მსოფლიო წყობის ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანი წინაღობა გახდა ვაშინგტონის მისწრაფებისათვის მართოს მსოფლიო. [30]

მსოფლიოს უნიპოლარულობა/მრავალპოლარულობასთან დაკავშირებულ მოცემულ სისტემურ ნარატივს, რუსეთი დამატებითი ქვე-ნარატივებით აძლიერებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, რუსეთი ცდილობს გააღვივოს აზრი, რომლის თანახმადაც ვაშინგტონი დომინირებს ევროპულ სახელმწიფოებზე. აქედან გამომდინარე, ამერიკის „მანკიერი“ გავლენის გარეშე, რუსეთი და ევროპა მარტივად შეძლებდნენ ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.[31]

ამას გარდა, ზემოაღნიშნულ აშშ-ის **უნიპოლარულობაზე ორიენტირებული ძირითადი სისტემური ნარატივის დამატებითი ქვე-ნარატივი ასევე არის აშშ-ის დასავლურ სამხედრო ინტერვენციონიზმში დადანაშაულება. ერაყი, სირია, ლიბია, ავღანეთი, საქართველო და უკრაინა - ყოველ მათგანთან დაკავშირებით რუსეთის სცენარი მსგავსია: აშშ სხვადასხვა საშუალებით ერევა სუვერენულ სახელმწიფოებში და სწორედ ასეთი**

29 Putin, V. (2007, February 10). Speech and the following discussion at the Munich conference on security policy. Munich.

30 Blinova, E. (2015, March 7). Russia's commitment to multi-polar world order challenges US global hegemon. Sputnik News

31 Olivier Schmitt (2018) When are strategic narratives effective? The shaping of political discourse through the interaction between political myths and strategic narratives, Contemporary Security Policy, 39:4, 487-51

დივერსიული ჩარევების შედეგად წარმოიშობა კონფლიქტები. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, რუსეთი იძულებულია ჩაერიოს (საქართველო, უკრაინა, სირია), რათა ხელი შეუწყოს აშშ-ის მიერ დაფინანსებული ატლანტისტების/ნეო-ნაცისტების/ჯიჰადისტების მიერ წარმოქმნილი არეულობის დასრულებას და წესრიგის აღდგენას. [32]

იდენტობის ნარატივის შემთხვევაში, ძირითად გზავნილს წარმოადგენს დასავლეთის მიერ რუსეთის „დამცირება/შეურაცხყოფა/დაკნინება", განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. აღნიშნული ნარატივის თანახმად, „ქედმაღალმა" დასავლეთმა ისარგებლა რუსეთის დროებითი სისუსტით, არ მისცა განვითარების საშუალება და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა რუსეთს თავი დამცირებულ და უძლურ სახელმწიფოდ ეგრძნო. დასავლეთმა იძულებით შემოიღო ნეოლიბერალური ეკონომიკური ზომები, რომლებიც აღარიბებს რუსეთის მოსახლეობას, თუმცა ამავდროულად ხელს უწყობს დასავლური ბიზნესების გამდიდრებას. დასავლეთმა ასევე გააფართოვა მისი ინსტიტუტები, უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც რუსეთის „გავლენის სფეროდ" ითვლებოდა. ამასთანავე, დასავლეთი ცდილობს მორალურად მოისყიდოს რუსეთი ისეთი საშიში და მანკიერი ფასეულობების გავრცელებით, როგორიცაა გენდერული თანასწორობა ან/და ლგბტ მოძრაობების პატივისცემა. აქედან გამომდიანრე, ლოგიკურია, რომ რუსეთმა უნდა დაიცვას საკუთარი იდენტობა და იძულებით მოიპოვოს საერთაშორისო აქტორების პატივისცემა.[33]

აღნიშნულ იდენტობის ნარატივების შემთხვევაშიც შესაძლებელია ორი ქვე-ნარატივის გამოყოფა. პირველი ქვე-ნარატივის თანახმად, „კარგი მეფე" - პუტინი უპირისპირდება 1990-იანი წლების ოლიგარქებს, იგივე „ცუდ დიდგვაროვნებს". პუტინის ხელისუფლებაში მოსვლამ წერტილი დაუსვა ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში გამეფულ კორუფციას, როდესაც ოლიგარქები ქვეყნის რესურსებს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდნენ. ნარატივის მიხედვით, პუტინის გაპრეზედენტების შემდეგ, ხსენებული ოლიგარქების ნაწილი მას დაემორჩილა, ხოლო ნაწილი გააძევეს ქვეყნიდან. შესაბამისად, პუტინმა კვლავ აღადგინა და დაუბრუნა რუსეთის სახელმწიფოს სიძლიერე და პრიორიტეტად დაისახა მის მოქალაქეებზე ზრუნვა. რა თქმა უნდა, ამჟამინდელი რეჟიმის კორუმპირებულობა საიდუმლო არავისთვისაა, თავად პუტინიც კი ხელისუფლებაში მოვიდა ელცინის დახმარებით. თუმცა, სხვადასხვა „პოლიტიკური ტექნოლოგიების" დახმარებით, პუტინის რეჟიმი წარმოაჩენს თავს, როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დასუსტებული რუსეთის „მხსნელი".

მეორე ქვე-ნარატივი გულისხმობს „კონსერვატორული ფასეულობების" მნიშვნელობას, განსაკუთრებით 2011 წლის შემდეგ. აღნიშნული ქვე-ნარატივი წარმოაჩენს რუსეთს, როგორც თეთრი რასის, კონსერვატორული და პატრიარქალური ევროპის ლიდერს, აშშ-ს მიერ წახალისებული/მხარდაჭერილი დესტრუქციული ლიბერალური ფასეულობების ფორნზე. ლიბერალური ფასეულობებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რუსეთის უწყვე-

32 Radin, A., & Reach, C. (2017). Russian views of the international order. Santa Monica, CA: Rand Corporation
33 Tsygankov, A. P. (2014). Russia and the West from Alexander to Putin. Cambridge: Cambridge University Press.

ტი/მუდმივი სიდიადის ხაზგასმა, მართლმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება, საფრთხის ქვეშ მყოფი „ევროპული ცივილიზაციის“ (ისლამისა და ანგლო-საქსური ლიბერალიზმის) დამცველად თავის წარმოჩენა 2011 წლის შემდეგ მუდმივად წარმოადგენს რუსეთის ნარატივს.[34]

34 Olivier Schmitt (2018) When are strategic narratives effective? The shaping of political discourse through the interaction between political myths and strategic narratives, Contemporary Security Policy, 39:4, 487-511

რუსეთი ზრუნავს სტრატეგიულ კომუნიკაციების განვითარებაზე და მაქსიმალურად ცდილობს აღნიშნულ სფეროში უპირატესობა ჰქონდეს, მეტიც იგი ინფორმაციის ომის იარაღად ქცევასაც კი ახერხებს. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ნათელია, თუ როგორ ამართლებს რუსეთი, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მის მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკას. საინტერესოა, რომ სახელმწიფო მედია მოიხსენიებს ყირიმის ანექსიას, როგორც „სევასტოპოლის მესამე თავდაცვას“ და 2015 წლის მარტში კი რუსეთის მთავარი სატელევიზიო არხის მიერ ყველაზე მეტად გაშუქებული თემები ეხებოდა მეორე მსოფლიო ომს.[35] 2018 წლის აგვისტოში რუსეთის სახელმწიფო სატელევიზო არხმა „RT“ გააკეთა გადაცემა „10 წელი მას შემდეგ, რაც საქართველო სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს დაესხა თავს“. არ არის გასაკვირი, რომ საქართველო წარმოდგენილი იყო როგორც აგრესორი, ხოლო რუსეთი კი მსხვერპლი.[36]

რუსეთის სტრატეგიული ნარატივების აღნიშნული მიდგომები როგორც ჩანს ქვეყნის შიგნით წარმატებით ხორციელდება და სახელმწიფო სასურველ შედეგს იღებს თავის მოქალაქეებისგან. გამოკითხვის შედეგები ცხადყობს მჭიდრო კავშირის არსებობას სახელმწიფოს მიერ გავრცელებულ სტრატეგიულ ნარატივებსა და საზოგადოებრივ აზრს შორის. 2014 წლის სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რესპოდენტების 79 პროცენტი მხარს უჭერდა პოზიციას, რომ აშშ და დასავლეთი აკრიტიკებდნენ და ავიწროვებდნენ რუსეთის პოლიტიკას უკრაინის მიმართ, ვინაიდან მათ სურდათ დაესუსტებინათ რუსეთის ზეგავლენა მსოფლიოზე.[37] რუსეთის მოქალაქეები არ თვლიან, რომ მათი სახელმწიფო მორალური თვალსაზრისით დამნაშავეა, პირიქით, 2014 წლის ოქტომბერში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მოქალაქეების 68 პროცენტი თვლიდა, რომ რუსეთს პოზიტიური როლი ჰქონდა აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტში.[38] რუსეთის მოქალაქეების 44 პროცენტი თვლის, რომ რუსეთის მიმართ პატივისცემა მსოფლიოში გაიზარდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ხოლო 22 პროცენტი კი თვლის რომ აღნიშნული მონაცემი შემცირდა.[39]

რუსეთის სტრატეგიული ნარატივები ნაკლებად ეფექტურია საერთაშორისო საზოგადოებაში. როგორც ჩანს, რუსეთის იდენტობის ნარატივები და ქვეყნის წარმოჩენის მცდელობები ამ ეტაპზე ვერ აღწევს სასურველ შედეგებს და შესაბამისად, ვერ ახდენს სათანადო ზეგავლენას ევროპულ და ზოგადად დასავლურ საზოგადოებაზე. ევროპელი პოლიტიკური ლიდერები უმეტესწილად ღიად ადანაშაულებენ რუსეთს მისი შიდა ავტორიტარული და აგრესიული საგარეო პოლიტიკის გამო.

35 European Endowment for Democracy, “Executive Summary and Recommendations”, Messages of Russian TV: Monitoring Report 2015, page 16.
36 “10 Years Since Georgia Attacked South Ossetia and Russia – Not the Other Way Around,” RT, 8 August 2018, https://www.rt.com/news/435401-south-ossetia-war-anniversary/.
37 Miskimmon, O’Loughlin, and Roselle (note 5) p. 101
38 Levada-Tsentr, 16 Oct. 2014, available at <www.levada.ru/16-10-2014/ukrainskii-krizisuchastniki-peremirie-otsenki-i-ozhidaniya>.
39 Levada-Tsentr, 8 Aug. 2014, available at <www.levada.ru/08-08-2014/rossiyane-o-sankt siyakh-o-vragakh-i-obuvazhenii-k-rossii>.

ესტონეთი წარმოადგენს კარგ მაგალითს, რომელმაც მისი სასიცოცხლო ინტერესის - უსაფრთხოების დასაცავად სწორად და დროულად დაისახა შესაბამისი სტრატეგია და ეფექტიანად მოახდინა მისი კომუნიკაცია საზოგადოებასთან.

ქვეყნები სტრატეგიულ ნარატივებს ძირითადად გამოიყენებენ მათთვის სასურველი იდენტობის გასავრცელებლად და დასაცავად.[40] ასეთი მიდგომები ხელს უწყობს „ქვეყნის ბრენდის" შექმნას და საერთაშორისო საზოგადოებაში პოზიციების გამყარებას.

„ქვეყნის ბრენდირების" პოლიტიკა მიეკუთვნება „რბილი ძალის" პოლიტიკას, ვინაიდან მისი ერთ-ერთი მიზანია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან პოზიტიური და ემოციური რეაქციების მიღება.[41] თუმცა, „ქვეყნის ბრენდირება" არა მხოლოდ საერთაშორისო აუდიტორიაზე არის მიმართული, არამედ მის ამოცანას ასევე ქვეყნის შიგნით ღირებულებებისა და იდენტობის ნარატივების გავრცელებას წარმოადგენს.[42]

სტრატეგიული ნარატივის როგორც „ქვეყნის ბრენდის" ჩამოყალიბების, ისე განხორციელების წარმატებული მაგალითი არის ესტონეთის დიჯიტალიზაცია. ჩვენ ბევრჯერ აღვნიშნეთ, რომ სტრატეგიული ნარატივი არ არის მხოლოდ სიტყვები, არამედ მნიშვნელოვანია კონკრეტული ქმედებების განხორციელება. შესაბამისად, ესტონეთის აღნიშნული წარმატება სწორედაც რომ უკავშრდება არა მხოლოდ სტრატეგიის დასახვას, არამედ სტრატეგიის დროს სწორი კომუნიკაციის გამოყენებას და შემდგომ მისი ქმედებებით გამყარებას. 2006-2016 წლებში ათწლიანი პრეზიდენტობის დროს ტომას ჰენდრიკ ილვესმა ესტონეთის ციფრული ტრანსფორმაცია დაისახა მიზნად. დღეს, ბალტიისპირეთის ეს ქვეყანა წარმოადგენს ციფრული ქვეყნის მსოფლიოში წარმატებულ მაგალითს.

2000-იანი წლების დასაწყისში, ესტონეთმა გამოუშვა პირადობის მოწმობები, მათზე დატანებული ჩიპებით. გარდა ამისა, ქვეყანამ მანამდე განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები, რათა ყველა მოქალაქეს ჰქონოდა მათი გამოყენების შესაძლებლობა. ყოფილი პრეზიდენტის თქმით, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების გააზრების შედეგად, ინტერნეტი აღქმული იყო ერთგვარ ბუფერად რუსეთისაგან თავის დასაცავად. იმ შემთხვევაში თუ რუსეთის ჯარი მოახდენდა სატელევიზიო ანძის, ცენტრალური რადიოსადგურის, ან ბეჭდური მედიის ფუნქციონირების მოშლას, ესტონეთი გამოეთიშებოდა დანარჩენ სამყაროს და დაკარგავდა კავშირს მსოფლიოსთან, რაც მას კიდევ უფრო მეტად მოწყვლადს გახდიდა რუსეთის მიმართ. შესაბამისად, ინტერნეტი ესტონეთისთვის გახდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მექანიზმი ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი

40 Alister Miskimmon, Ben O'Loughlin, and Laura Roselle, Strategic Narratives: Communication Power and the New World Order (New York/London: Routledge 2013).

41 Christopher S. Browning, 'Nation Branding, National Self-Esteem, and the Constitution of Subjectivity in Late Modernity', Foreign Policy Analysis 11/2 (2015) pp. 195–214.

42 Christopher S. Browning, 'Nation Branding, National Self-Esteem, and the Constitution of Subjectivity in Late Modernity', Foreign Policy Analysis 11/2 (2015) pp. 195–214.

ინტერესების დასაცავად და საუკეთესო გზა კრიზისულ ვითარებაში მსოფლიოსთან კავშირის შესანარჩუნებლად.[43]

რამდენად ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს, 2007 წელს პირველი მასშტაბური კიბერ შეტევა ესტონეთში სწორედ ინტერნეტზე განხორციელდა და ესტონეთი მყისიერად გაეთიშა დანარჩენ მსოფლიოს. თუმცა, დღეს ესტონეთი საუკეთესო მაგალითია ქვეყნის ელექტრონული სისტემების განვითარების თვალსაზრისით. ესტონეთში სახელმწიფო სერვისების მიღება თითქმის სრულად გადასულია ელექტრო სერვისებზე. სახელმწიფო აღარ მოითხოვს ინფორმაციას, რომელსაც იგი უკვე ფლობს, როგორიცაა მაგალითად, საცხოვრებელი მისამართი და შვილების რაოდენობა. აღნიშნული ციფრული სისტემის საშუალებით, ყველაფერი ხორციელდება პარალელურ რეჟიმში, ერთდროულად. სხვა ქვეყნებთან შედარებით, სადაც ბიზნესის დაწყებას 7 თვემდე პერიოდი სჭირდება, ესტონეთში აღნიშნული პროცედურისათვის 15 წუთია საჭირო. უსაფრთხოების თვალსაზრისით, „აღნიშნულმა სისტემამ გაუძლო რუსეთის კიბერშეტევებს, შესაბამისად იგი ყველაფერს გაუძლებს.“ თუმცა, ახალგაზრდა ესტონელებისათვის, ინტერნეტი უბრალო სერვისებზე მეტის გამოხატულებაა, ის არის დემოკრატიისა და თავისუფლების სიმბოლო“.[44]

43 Toomas Hendrik Ilves, E-stonia Takes Off, Finance & Development, March 2018, Vol. 55, No. 1
44 Ibid.

დღევანდელ მსოფლიოში ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოების პოლიტიკის ფორმირებაში. ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია ზეგავლენის მოხდენის გარეშე. ნებისმიერი ინფორმაცია გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებებს და შეხედულებებს და მიმართულია კონკრეტული მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემა მოიცავს დარწმუნების ელემენტებს.[45] ინფორმაცია არ გამოიხატება მხოლოდ სიტყვებით, არამედ ყოველ ქმედებას აქვს საკომუნიკაციო ღირებულება და გზავნის კონკრეტულ მესიჯს. ქმედებასაც ასევე შეუძლია გავლენის მოხდენა. შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან მთავრობის შეფასება ხდება როგორც ქმედებების, ასევე დაპირებებისა და ხედვების გათვალისწინებითა. „ქმედება გამყარებული ნარატივით და ნარატივი გამყარებული - ქმედებით“, სიტყვები და ქმედებები განუყოფელია, შესაბამისად მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი მათ შორის განსხვავებები.[46]

სტრატეგიული ნარატივების წარმატებით გამოყენებისთვის, მნიშვნელოვანია, კომუნიკაციის სიტყვიერ და პრაქტიკულ საშუალებებს შორის იყოს თანხვედრა და მიმართული იყოს ერთი მიზნის მისაღწევად. თეთრი სახლის სტრატეგიული კომუნიკაციების ეროვნული დოკუმენტის თანახმად, ქმედებებს აქვთ საკომუნიკაციო ღირებულება და გადასცემენ კონკრეტულ გზავნილებს.[47] სიტყვებსა და ქმედებებს შორის შეუსაბამობას შესაძლოა საკმაოდ ძვირი ფასი ჰქონდეს. „ნათქვამს ანუ „ნარატივს“ და ქმედებებს შორის თანხვედრის არ არსებობის შემთხვევაში, იკარგება ნდობა და მასთან ერთად ავტორიტეტი”.[48]

სტრატეგიული ნარატივი უნდა ასახავდეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და მიზნებს და აყალიბებდეს შესაბამის პოლიტიკას, რომელიც ხელისუფლების მიერ უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი პროცედურების საშუალებით.[49] ასევე გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოების მხრიდან მთავრობების მიმართ დღეს ნდობის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია და რთულია დაარწმუნო შენი სამიზნე აუდიტორია თუ პირველ რიგში არ ხარ გულწრფელი, არ გაქვს კარგად გააზრებული ის ელემენტები, რაც განაპირობებს სტრატეგიული ნარატივების ეფექტურად ჩამოყალიბებას და შემდგომში მათ განხორხცილებას.

ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები ერთ ხმაში კი არ უნდა საუბრობდნენ, არამედ ყველა ცალკეული მესიჯი გაერთიანებული უნდა იყოს ერთი მიმართულებით. ნა-

45 Christopher Paul, Getting Better at Strategic Communication, RAND Corporation, 2011
46 White House, National Framework for Strategic Communications.
47 White House, National Framework for Strategic Communications.
48 D. Barley, ‘Winning Friends and Influencing People’, The British Army Review (No. 148, Winter 2009–2010), p, 58.
49 Paul Cornish, Julian Lindley-French and Claire Yorke, Strategic Communications and National Strategy, A Chatham House Report, September 2011

რატივის მიზნები უნდა იყოს ნათელი და მარტივად გასაგები ყველასთვის, რათა გააცნობიერონ თუ როგორ შეუძლია თითოეულ მათგანს ამ მიზნების განხორციელების ხელშეწყობა. კომუნკაცია არ არის მხოლოდ ცალმხრივი „მაუწყებლობა", არამედ ორმხრივი ჩართულობა და დიალოგია. [50]

სტრატეგიული ნარატივების წარმატებით შემუშავებისას მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აუდიტორიის გათვალისწინება. თუმცა, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აღიარებაზე არანაკლებ მნიშნელოვანია ქვეყნის შიგნით საზოგადოების კონსენსუსი მთავრობის სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სახელმწიფოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მის ამომრჩეველს ესმოდეს და იზიარებდეს ქვეყნის ძირითად გზავნილებს.[51] სტრატეგიული ნარატივი წარმატებულია, როცა სამიზნე აუდიტორია „აღიქვამს მსოფლიოს" ქვეყნის სასურველი ნარატივის მიხედვით.[52] მთავრობები სტრატეგიული ნარატივებს მაქსიმალურად სწორად და ეფექტურად უნდა იყენებდნენ და მათი მეშვეობით შექმნან თავიანთი „ქვეყნის ბრენდი" როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ცალსახად, სტრატეგიული კომუნიკაციები სახელმწიფოსათვის გამოწვევაა, რათა მკაფიოდ და ნათლად ახსნან საკუთარი ქმედებები, რომ მოიპოვონ და შეინარჩუნონ საზოგადოების მხარდაჭერა მათი პოლიტიკის მიმართ, ასევე უზრუნველყონ, რომ მესიჯები და ქმედებები არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს და ძირს არ უთხრიდეს ხელისუფლების კომპეტენციასა და რეპუტაციას.[53]

50 C. Paul, 'Getting Better at SC', http://www.rand.org/pubs/testimonies/CT366.html p. 14, extracted from C. Paul, Strategic Communication.

51 Joanna Szostek (2017) Defence and Promotion of Desired State Identity in Russia's Strategic Narrative, Geopolitics, 22:3, 571-593

52 Miskimmon, O'Loughlin, and Roselle (note 5) p. 101

53 Paul Cornish, Julian Lindley-French and Claire Yorke, Strategic Communications and National Strategy, A Chatham House Report, September 2011

ბიბლიოგრაფია

1. Alister Miskimmon, Ben O'Loughlin, and Laura Roselle, Strategic Narratives: Communication Power and the New World Order, New York/London: Routledge 2013
2. Beatrice Heuser, Strategic Narratives, Public Opinion, and War: Winning Domestic Support for the Afghan War, The RUSI Journal, 2017, 162:1
3. Claire Yorke, Narrative Shift, The Worldtoday.org, June 2011
4. Christopher Paul, Getting Better at Strategic Communication, RAND Corporation, 2011
5. Goldman, Emily, "Strategic Communication: A Tool for Asymmetric Warfare," Small Wars Journal, October 6, 2007
6. Christopher Paul, Strategic Communication: Origins, Concepts and Current Debates, Santa Barbara, CA; Denver, CO, Oxford, England: Praeger, 2011
7. Anthony Dudo, LeeAnn Kahlor (Ed.) Strategic Communication: New Agendas in Communication, New York: Routledge, 2017
8. Paul Cornish, Julian Lindley-French and Claire Yorke, Strategic Communications and National Strategy, A Chatham House Report, September 2011
9. Steven Livingston and Jack Nassetta, Framing and Strategic Narratives: Synthesis and Analytical Framework, SAIS Review vol. 38 no. 2, 2019 Johns Hopkins University
10. Paul Cornis, Strategy in Austerity The Security and Defence of the United Kingdom, A Chatham House Report, October 2010
11. Joanna Szostek, Defence and Promotion of Desired State Identity in Russia's Strategic Narrative, Geopolitics, 2017
12. D. Barley, 'Winning Friends and Influencing People', The British Army Review, No. 148, Winter 2009–2010
13. Thomas Waldman, Strategic Narratives and US Surrogate Warfare, Survival, 61:1, 2019
14. White House, National Framework for Strategic Communications
15. Toomas Hendrik Ilves, E-stonia Takes Off, Finance & Development, March 2018, Vol. 55, No. 1
16. Christopher S. Browning, 'Nation Branding, National Self-Esteem, and the Constitution of Subjectivity in Late Modernity', Foreign Policy Analysis 11/2, 2015
17. Olivier Schmitt, When are strategic narratives effective? The shaping of political discourse through the interaction between political myths and strategic narratives, Contemporary Security Policy, 39:4, 2018
18. Joseph S. Nye JR., Smart Power and the "War on Terror", Asia-Pacific Review, 15:1, 2008
19. Joseph S. Nye, Jr, Soft Power, Foreign Policy, No. 80, Twentieth Anniversary, Autumn, 1990
20. Joseph Nye, Soft power: The means to success in world politics. Cambridge, MA: PublicAffairs, 2004

21. Joseph Nye, Reviewed by G. John Ikenberry, Soft Power: The Means to Success in World Politics, Foreign Affairs, June 2004
22. James Stavridis, Strategic Communication and National Security, Joint Force Quarterly, Issue 46, 3d quarter 2007
23. Stephen Blank, Can Information Warfare Be Deterred?, Defense Analysis, 2001
24. Levada-Tsentr, 8 Aug. 2014, available at www.levada.ru/08-08-2014/rossiyane-o-sankt siyakh-o-vragakh-i-ob-uvazhenii-k-rossii
25. "10 Years Since Georgia Attacked South Ossetia and Russia – Not the Other Way Around," RT, 8 August 2018, https://www.rt.com/news/435401-south-ossetia-war-anniversary/.
26. European Endowment for Democracy, Executive Summary and Recommendations, Messages of Russian TV: Monitoring Report 2015
27. Tsygankov, A. P. Russia and the West from Alexander to Putin. Cambridge: Cambridge University Press. 2014
28. Vladimir Putin, Speech and the following discussion at the Munich conference on security policy. Munich. 2007, February 10
29. Blinova, E., Russia's commitment to multi-polar world order challenges US global hegemon. Sputnik News, March 7 2015
30. Radin, A., & Reach, C. Russian views of the international order. Santa Monica, CA: Rand Corporation, 2017
31. Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation, Kontseptsiya vneshney politiki Rossiyskoy Federatsii. Moscow: Russian MFA, 2013
32. Mark Laity, NATO and the Power of Narrative, Information at War: From China's Three Warfares to NATO's Narratives, 2015.
33. Emile Simpson ,War from the Ground Up, Hurst & Co.2012
34. Lawrence Freedman, The Possibilities and Limits of Strategic Narratives in Strategic Narratives, Public Opinion, and War, Routledge 2015
35. Greg Mills, Why States Recover: Changing Walking Societies into Winning Nations, from Afghanistan to Zimbabwe, Hurst, 2014.
36. Nino Chikovani, The Georgian historical narrative: From preSoviet to post-Soviet nationalism, Dynamics of Asymmetric Conflict, 2012
37. ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის
38. საქართველო და ევროპა, ჟურნალი „ისტორიანი" #1.
39. ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაციის ეროვნული სისტემის ანალიზი, საქართველოს ატლანტიკური საბჭო, 2016 წ.
40. ელენე ფანჩულიძე, „რბილი ძალა რუსულად: პროპაგანდის დაბალანსების პოლიტიკა" გამოწვევები და საფრთხეები, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2017, გამოცემა #5
41. https://1tv.ge/news/endiais-kvlevis-tanakhmad-saqartvelos-evrokavshirshi-gawevrianebas-gamokitkhulta-82-procenti-uchers-mkhars-kholo-nato-shi-gawevrianebas-74-procenti/